ხელშეკრულება აუდიტორული მომსახურების გაწევაზე №249

ქ. ქუთაისი „05„ დეკემბერი2016 წ

ერთის მხრივ სსიპ ქ. ქუთაისის მე–13 სკოლის (ს/კ 212808791) დირექტორი ნატალია სანდუხაძე შემდგომში წოდებული როგორც „დამკვეთი“ და მეორეს მხრივ შპს „აუდიტექსპერტი96“, მისი დირექტორის, ამირან ჯანგიძის სახით, შემდგომში წოდებული როგორც „შემსრულებელი“, ერთად წოდებული როგორც „მხარეები“ ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულება შემდეგზე:

ხელშეკრულების საგანი:

დამკვეთი ავალებს, ხოლო შემსრულებელი კისრულობს, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (IFAC) შესაბამისად, ჩაატაროს სსიპ ქ. ქუთაისის მე–13 სკოლაში, 2015 ლის ბოლოსათვის და 2016 წლის ბოლოსათვის ჩატარებული ინვენტარიზაციების ურთიერთშედარება, ინვენტარიზაციის მონაცემები შეუდაროს 2016 წელში რესურსცენტრში წარდგებილი ინფორმაციის მონაცემებს და გამოიყვანოს შედეგები, რაზედაც გასცეს ექსპერტიზის დასკვნა.

მხარეთა უფლებები და ვალდებულებები:

შემსრულებელი ვალდებულია:

1.1.1. დაიწყოს შემოწმება ხელშეკრულების ხელმოწერიდან, 2016 წლის 05 დეკემბრიდან და დაამთავროს 2017 წლის 25 იანვრამდე;

1.1.2. მოქმედი კანონმდებლობის, ნორმებისა და სტანდარტების, დამკვეთთან დადებული ხელშეკრულების პირობების, პროფესიული ცოდნისა და გამოცდილების საფუძველზე დამოუკიდებლად განსაზღვროს ექსპერტიზის ჩატარების ფორმები და მეთოდები;

1.1.3. მიიღოს დამკვეთის, ან მესამე პირების ხელთ არსებული ყველა საჭირო დოკუმენტი, რომლებიც შეეხება ექსპერტიზის საგანს;

1.1.4. საიდუმლოდ შეინახოს საექსპერტო მომსახურების დროს მიღებული ინფორმაცია, არ გაახმაუროს საიდუმლობის შემცველი ცნობები, არ გამოიყენოს ისინი თავისი, ან მესამე პირის ინტერესებისათვის;

1.1.5. მომსახურების დასრულების შემდეგ წარუდგინოს „დამკვეთს“ შედგენილი აუდიტორული დასკვნა;

1.1.6. აცნობოს დამვეთს ექსპერტიზის ჩატარებისას ბუღალტრულ აღრიცხვაში და ანგარიშგებაში გამოვლენილი ნაკლოვანებები;

დამკვეთი ვალდებულია:

1.1.7. შემსრულებელს დროულად, მოთხოვნისთანავე გადასცეს ექსპერტიზის ჩასატარებლად საჭირო მთელი დოკუმენტაცია. წარმოდგენილ დოკუმენტაციის უტყუარობაზე, სისრულზე და შესაბამისობაზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს;

1.1.8. აუცილებლობის შემთხვევაში უზრუნველყოს შემოწმების პერიოდში წამოჭრილ სადავო საკითხებთან დაკავშირებით თავისი თანამშრომლების, მესამე პირების დასწრება და მათთან არსებული დოკუმენტაციის წარმოდგენა;

1.1.9. დროულად აანაზღაუროს ექსპერტიზის მომსახურების საფასური ამ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

მომსახურების საფასური და ანგარიშსწორების წესი:

აუდიტორის მიერ ამ ხელშეკრულებით გაწეული მომსახურების ღირებულება შეადგენს 300 (სამასი) ლარს;

ხელშეკრულების განსაზღვრული თანხის ანაზღაურება განხორციელდეს აქტის შედგენისა და ექსპერტიზის დასკვნის მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერის დღიდან 5 სამუშაო დღის განმავლობაში;

მხარეთა პასუხისმგებლობა:

1.2. ერთ-ერთი მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შუსრულებლობის ან არასათნადოდ შესრულების შემთხვევაში, ზიანის მიმყენებელი მხარე დაზარალებულ მხარეს მიყენებულ ზარალს ანაზღაურებს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით;

1.3. მხარეთ ქონებრივი პასუხისმგებლობის მოცულობა არ შეიძლება აღემატებოდეს მათი მიზეზით ფაქტობრივად მიყენებული ზიანის ოდენობას;

ფორს-მაჟორი:

1.4. ხელშეკრულების პირობების, ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრლების პირობების შეუსრულებლობა, არასათანადოდ შესრულება ან დარღვევა და არ გამოიწვევს ზიანის ანაზღაურებას;

დავის გადაჭრის წესი:

1.5. ამ ხელშეკრულების შესრლების დროს მხარეებს შორის წარმოშობილი დავა გადაწყდეს მოლაპარაკების გზით;

1.6. მოლაპარაკების გზით შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავა განსახილველად გადაეცეს საქართველოს საერთო სასამართლოს. მხარეებს უფლება აქვთ წინამდებარე ხელშეკრულების დადების შემდეგდადონ დამატებითი შეთანხმება დავის საარბიტრაჟო სასამართლოს მიერ გადაწყვეტის შესახებ, ამ შემთხვევაში დავას გადაწყვეტს შესაბამისი არბიტრაჟი.

ხელშეკრულების ძალაში შესვლა
და მოქმედების ვადები:

1.7. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს ხელშეკრულების დადგენილი ვადლებულებების სრულად შესრულებამდე.

გარდამავალი და დასკვნითი დებულებები:

1.8. ამ ხელშეკრულებაში დამატებები და ცვლილებები შეიძლება შეტანილ იქნეს წერილობითი ფორმით და ძალაში შედის მხოლოს ორივე მხარის სრულუფლებიან წარმომადგენელთა მიერ ხელმოწერის დღიდან;

1.9. ამ ხელშეკრულების რომელიმე მუხლის ან პუნქტის საქართველოს კანონმდებლობასთან შეუსაბამობის შემთხვევაში, იგი კარგავს ძალას, და მოქმედებას აგრძელებს ძალადაუკარგავი მუხლები და პუნქტები;

1.10. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად, ერთი ინახება დამკვეთთან, მეორე - შემსრულებელთან.

მხარეთ რეკვიზიტები და ხელმოწერა

შემსრულებელი:	**დამკვეთი:**
შპს „აუდიტექსპერტი96“	სსიპ ქ. ქუთაისის მე–13 სკოლა

მის: ქ. ქუთაისი ერითავის 1–ლი შ. 6

ტელ: 593559568

ბანკის რეკვიზიტები:

საქართველოს ბანკი

ანგარიში: №GE35BG0000000274884600

საიდენტიფიკაციო კოდი:№212695831

ხელმოწერა/ბეჭედი:

მის. ქ. ქუთაისი ერისთავის ქ. 24

ტელ:577277513

[illegible]

GE97LT05[illegible]13 13 3408

საიდენტიფიკაციო კოდი:№212808791

ხელმოწერა/ბეჭედი: